

მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის საკანონმდებლო რეგულირება

მანანა მალრაძე
ეკატერინე გობეჯიშვილი

საბაზრო სისტემის ძირითად შინაარსს მცირე მეწარმეობა წარმოადგენს. განსაკუთრებით გადამწყვეტია მისი როლი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. მცირე საწარმოების(მს) ჩამოყალიბებითაა შესაძლებელი დიდი ზომის საწარმოების რესტრუქტურება, ბაზართან ადაპტირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობა. მცირე საწარმოების შექმნას ჩვენს სინამდვილეში აქვს სპეციფიკური ხასიათი. თუ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ისინი წარმოადგენდნენ დიდი ფირმების ჩამოყალიბების საწყისს, გარდაქმნადი ეკონომიკის პირობებში ხშირ შემთხვევაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მიმდინარეობს მსხვილი მონოპოლიზტი, არაფექტური საწარმოების ეკონომიკური რყევებისა და ცვალებადი სიტუაციებისადმი უფრო ადაპტირებად, მცირე საწარმოებად რეორგანიზების პროცესი. თავიანთი მოქნილობისა და დინამიურობის წყალობით მცირე საწარმოები სწრაფად რეაგირებენ მოთხოვნილების ცვლილებაზე და ამდენად, წარმოადგენენ ინოვაციის წყაროს, ქმნიან დამატებით ბაზარს მსხვილი საწარმოების კუთვნილი მეორადი მოხმარების მანქანა-დანადგარების გასაღებისათვის, მეწარმეები იძენენ გამოცდილებას, რაც ასე აუცილებელია ეკონომიკაში ინდივიდუალური დანაშოგების და ინვესტიციების მოზიდვისათვის, კერძო სექტორის განვითარებისათვის.

მცირე ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და განხორციელების გარეშე. მისი მეშვეობით უზრუნველყოფილი უნდა იქნას მცირე საწარმოთათვის “სათბურის პირობების” შექმნა, მათი დაცვა ანტიკონკურენტული სტრუქტურების შემოქმედებისაგან და პროტექციონიზმი მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და პროდუქციის რეალიზაციის სფეროში.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ეს დარგი სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტია. კანონმდებლობით აღიარებულია მცირე საწარმოების უმნიშვნელოვანესი როლი ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების საქმეში. საწარ-

მოებს გაეწევათ სამთავრობო მხარდაჭერა საქმიანობის დაგეგმვის, კოორდინირების და საფინანსო რესურსების ფორმირების ხაზით.

მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები ფლობენ მს მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებაზე შემოქმედების ფართო შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ წახალისონ კერძო სექტორის ინვესტიციები ისეთ სფეროებში როგორცაა: სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, პროფესიული განათლება, მეწარმეობა და სხვ. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული დასახელებით მოქმედი მეწარმეობის ცენტრები შექმნილია ერთი მთავარი მიზნით – გააუმჯობესონ მს მდგომარეობა დაქარბული ეკონომიკური განვითარების პირობებში.

მეწარმეობის განვითარების ცენტრების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

ახერბაიჯანში შექმნილია 40-ზე მეტი რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრი, რომლებიც განახორციელებენ მცირე და საშუალო საწარმოთა(მსმ) მხარდაჭერას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ბელარუსში მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი – “ბელბიზნესცენტრი” კონსულტაციებს უწევს პოტენციურ მეწარმეებს ბიზნესის ორგანიზაციის საკითხებზე. იგი მიაწოდებს მათ ინფორმაციას ბაზრების შესახებ და ეხმარება კორპორაციული დოკუმენტაციის შექმნაში, იძლევა რეკომენდაციებს დაბეგერის, ლიცენზირებისა და სერთიფიცირების საკითხებზე.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციის – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ შექმნილია რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები (22) და მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრები (5). რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები წარმოადგენენ კერძო ფირმებს. ისინი გასცემენ მთელ რიგ საბაზრო მომსახურებას: საცნობარო-ანალიტიკური მომსახურება, იურიდიული და საგადასახადო კონსულტირება, საბუღალტრო აღრიცხვა, დოკუმენტების მომზადება საბანკო სესხის მისაღებად და სხვ. მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრები მომსახურების ფართო სპექტრში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო საწარმოებზე, სამრეწველო საწარმოების მხარდაჭერაზე.

ისრაელში მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრები ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი თვითფინანსირებადი სტრუქტურები, რომლებიც გასცემენ კომპლექსურ მომსახურებას მოქმედ და დამწყებ მეწარმეებზე. მათი უმრავლესობა ფუნქციონირებს რეგიონებში და ჩვეულებრივ, თანამშრომლობენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ცენტრების ამოცანაა დაეხმარონ მეწარმეებს საწარმოთა შექმნასა და გაფართოებაში, მათ მართვაში, გაკონტროლებასთან თავის დაღწევაში და ა.შ. ცენტრები აერცილებენ ინფორმაციას ბიზნეს-კონცეფციების შედგენისა და შეფასების, ლიცენზირების, ინვესტირების

და სხვ. შესახებ. ისინი იძლევიან კონსულტაციებს ფინანსური მენეჯმენტის, ფასწარმოქმნის, საგადასახადო დაგეგმვის, გაყიდვების მართვის, მარკეტინგის და სხვ. სფეროებში. ცენტრები აწვებენ კურსებსა და საშუალო შეხვედრებს მცირე და საშუალო საწარმოთა მესაკუთრეებისათვის.

პოლონეთში ფუნქციონირებენ რეგიონალური განვითარების ფონდები, რომელთა ამოცანაა მხარი დაუჭირონ მსს და ამით ხელი შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ისინი საწარმოებს სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებას, აგრეთვე გასცემენ გარანტიებს საბანკო სესხებზე. რუსეთის ფედერაციაში შექმნილია მსს მხარდაჭერის რიგი სტრუქტურები. ესენია: მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ფედერალური ფონდი, მცირე მეწარმეობის განვითარების ასოციაცია და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სააგენტო. 1992 წელს მთავრობამ დააფუძნა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტო, რომელმაც თავის მხრივ შექმნა დაწესებულებების რეგიონალური ქსელი (50-ზე მეტი). რეგიონალური დაწესებულებები განიხილავენ საინვესტიციო პროექტებს, გასწევენ კონსულტირებას ფინანსურ საკითხებზე, განახორციელებენ აუდიტორულ და საბუღალტრო მომსახურებას. ისინი იძლევიან ინფორმაციას საქმიანი პარტნიორების, სამეწარმეო გარემოს, კანონმდებლობის, გადასახადების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების შესახებ. რეგიონული დაწესებულებები აგრეთვე ეხმარებიან საწარმოებს კონტრაქტებისა და დოკუმენტაციის მომზადებაში, აღმოუჩენენ მათ სამართლებრივ მხარდაჭერას მოლაპარაკებისა და რეგისტრაციის პროცესში, აწვებენ კურსებსა და სემინარებს მენეჯმენტისა და მარკეტინგის საკითხებზე.

თურქეთში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ორგანიზაცია, რომელიც გასწევს ტექნიკურ, მმართველობით და კონსალტინგურ მომსახურებას. კონკრეტულ ფუნქციებს ასრულებენ განვითარების ცენტრები, მათ შორის მც-

ირე და საშუალო მეწარმეობის თურქეთის ფონდი. მან შექმნა ფართო ქსელი, რომელშიც შედის 1500 რეგისტრირებული წევრი, 17 მხარდაჭერი ასოციაცია და ორი განყოფილება. მათი მეშვეობით ხორციელდება საწარმოთა მრავალმხრივი ხელშეწყობის ღონისძიებები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით შექმნილია მცირე ბიზნესის სამმართველო (ადმინისტრაცია). მას გააჩნია მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრები, რომლებიც მოქმედ და პრიორიტეტულ საწარმოებს ეხმარებიან კომპლექსურად ინფორმაციის მიწოდებით და რეკომენდაციებით. ცენტრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობის სოციალურ ჯგუფების (ვეტერანების, ქალების, ინვალიდების) სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვასა და დასაქმებას. მცირე ბიზნესის სამმართველოს ეგიდით საქმიანობენ ინფორმაციის ცენტრები.

გაერთიანებულ სამეფოში მცირე საწარმოთა განვითარების სამსახური მოწოდებულია უზრუნველყოს საწარმოთა პოტენციალის სრულად გამოვლენა, გამოხატოს და დაცვას მათი ინტერესები მართვის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზებში, აგრეთვე ევროკავშირში, ხელი შეუწყოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უმთავრესად ინოვაციების სტიმულირების მეშვეობით.

აღნიშნული სახელმწიფო სამსახურის გარდა, საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ დახმარება მრავალრიცხოვანი საკონსულტაციო ორგანიზაციებიდან. მაგალითად, მეწარმეობის მხარდაჭერის სამსახურები იძლევიან ყველა აუცილებელ კონსულტაციას საწარმოთა განვითარების საკითხებზე და ეხმარებიან კომპანიებს მარკეტინგული საქმიანობათა და ახალი კლიენტების მოზიდვით წარმოების ზრდის საქმეში.

1991 წელს ამ მიზნით ჩამოყალიბდა კომპანია “ბიზნეს ჩელენჯი”, რომელიც აერცილებს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გადასახადები, საწარმოთა ლიკვიდაცია, სამთავრობო დახმარება, ფულადი ნაკადების გაანგარიშება, კადრები, ხარისხის სისტემა და სხვ.

გერმანიაში საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას გასწევენ უმთავრესად საეაჭრო-სამრეწველო პალატები. პალატების წევრობა საავადლებულია ყველა კომერციული კომპანიისათვის. პალატები მომსახურებას გასწევენ უსასყიდლოდ. ასე, მაგალითად, ისინი აცნობებენ ფირმებს ორგანიზებული სასწავლო კურსების შესახებ და ეხმარებიან მათ სახელმწიფო დაკვეთების მიღების საქმეში, აგრეთვე, აწვდიან საწარმოებს ინფორმაციას ვაკურობების შესახებ, რომლებიც ტარდება როგორც

პრონომისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

ქვეყნის შიგნით, ისე ევროკავშირის მასშტაბით.

ბოლო პერიოდში განვითარება პოვა მომსახურების ისეთმა სპეციფიურმა ფორმამ, როგორიცაა მომსახურება არაფორმალური ინვესტირება ქსელის მეშვეობით. მათი შექმნის მიზანია დამყარდეს კონტაქტები ინვესტორებსა და მსს შორის. არაფორმალური ინვესტირები ("ბიზნეს ანგელოზები") სახსრებს აბანდებენ კომპანიებში, ეხმარებიან მათ ფინანსურად, უწევენ საექსპერტო მომსახურებას და საწარმოთა ხელმძღვანელობას უწეობენ სამეწარმეო უნარ-ჩვევებს.

არაფორმალური ინვესტირების ქსელის უმრავლესობა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თუმცა ზოგიერთი მათგანი მუშაობს კომერციულ საწყისებზე ან ფინანსდება კომერციული ბანკების ვენჩურული ფონდების ან სამრეწველო ასოციაციების მიერ. აშშ-ი და ევროპაში ფუნქციონირებს არაფორმალურ ინვესტირება მრავალფეროვანი ქსელი. რამდენადაც მომსახურების ეს ფორმა ხელს უწყობს ახალი საწარმოების შექმნასა და დასაქმების ჩამოყალიბება პრიორიტეტულად არის მიჩნეული და ნაწილობრივ ფინანსდება რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდის მიერ.

არაფორმალურ ინვესტირება ეროვნული ქსელები შექმნილია და ფუნქციონირებს გაერთიანებულ სამეფოში (1991 წლიდან), ნიდერლანდებში (1995 წ.), ფინეთში (1991 წ.).

1999 წელს შეიქმნა არაფორმალურ ინვესტირება ევროპული ქსელი, რომელიც აერთიანებს სრულყოფილებიან და ასოცირებულ წევრ ქვეყნებს.

საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების დაწესებულებები იძენენ კომპლექსურ ხასიათს. ისინი საწარმოებს სთავაზობენ ხელშეწყობისა და დახმარების სრულ სპექტრს, თავიდან ბოლომდე პასუხს აგებენ პროექტის განხორციელებაზე და ოპერატიულად წყვეტენ წარმოშობილ პრობლემებს.

გავრცელება პოვა მომსახურებამ კომპლექსური მომსახურების ვირტუალური ცენტრების მეშვეობით, როგორიცაა, მაგალითად რუსეთის მცირე და საშუალო საწარმოთა ვირტუალური ოფისი, ლაფანტალის ინოვაციური ცენტრი ვოლფსბერგში (ავსტრია) და სხვა, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით.

აღსანიშნავია, ევროკავშირის მიერ ინტერნეტ-ცენტრის სახით შექმნილი სამსახური "დიალოგი საწარმოებთან", აგრეთვე პროგრამა "კორდისი", რომელიც გაეროს ევროპული კომისიის ინოვაციური პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

სამსახური "დიალოგი" ეხმარება საწარმოებს განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა ევროპის ბაზარზე, აძლევს მათ რეკომენდაციებს ბიზნეს-გეგმების შედგენისა და მიღების, საქმიანი პარტნიო-

რების შერჩევის, სახელმწიფო შეკვეთებში მონაწილეობის და სხვ. ხაზით.

შექმნილია საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ისეთი ინსტიტუტებიც, როგორიცაა "საქმიანი თანამშრომლობის ქსელი", კორესპონდენტების ფართო ქსელით და "საწარმოთა კოოპერაციის განვითარების ბიურო", რომელიც კონსულტანტების მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოებს ეხმარება უცხოელი პარტნიორის მოძიებაში.

პროგრამა "კორდისი" – ეს არის ევროპული კომისიის საინფორმაციო სამსახური მეცნიერული კვლევებისა და დამუშავების ხაზით. იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საწარმოებს, განსაკუთრებით მსს-ებს ტექნოლოგიის გადაცემისა და ინოვაციური საქმიანობის ხაზით და მაწოდოს მათ სათანადო ინფორმაცია ევროკავშირის ინოვაციური ბაზრის შესახებ. ის ფარგლებში ფუნქციონირებს ინოვაციათა გავრცელების ცენტრების ფართო ქსელი. ამჟამად, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედებს ინოვაციების გავრცელების 70-მდე ცენტრი. ცენტრები თანამშრომლობენ სხვა ადგილობრივ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, როგორიცაა უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სამრეწველო ცენტრები. თავის მხრივ, ეს უკანასკნელნი სარგებლობენ ცენტრების მომსახურებით. თითოეულ ცენტრში არიან მალაქკალიფიციური სპეციალისტები მეწარმეობისა და ტექნოლოგიების ხაზით, რომლებიც კარგად ფლობენ ინფორმაციას ცენტრის მიერ მომსახურე კომპანიებსა და რაიონებში არსებული ტექნოლოგიური ბაზისა და ეკონომიკის შესახებ.

საქართველოში, ამჟამად, მცირე მეწარმეობის განვითარების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული ბაზა არ არსებობს. "მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ" კანონის გაუქმების (2006 წ.) შემდეგ, აღნიშნული პროცესის სახელმწიფო რეგულირებამ შეიძინა უპირატესად ფორმალური, დეკლარირებული ხასიათი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, საკანონმდებლო დონეზე მცირე მეწარმეობის იდენტიფიცირების სფეროში არსებული არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციისა და შეუსაბამობის შესახებ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია მიკრო და მცირე ბიზნესის ცნება. ამასთან, დაწესებულია შესაბამისი შეღავათები მათი განმახორციელებელი ფიზიკური და მეწარმე ფიზიკური პირების მიმართ. საყურადღებოა, რომ აღნიშნული შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობით. მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობა-

ში არ აღემატება 100 000 ლარს. ეს მაჩვენებელი მიკრო ბიზნესის მიმართ 30 000 ლარს შეადგენს.

სამეწარმეო საკანონმდებლო სივრცეში მიკრო ბიზნესის ცნების შემოტანა, თავისთავად, უაღრესად სასარგებლო მოვლენას წარმოადგენს. რაც შეეხება მცირე ბიზნესის ცნებას, აქ საქმე გვაქვს სერიოზულ შეუსაბამობასთან.

საქართველოში 1999 წლიდან დღემდე შემოღებულია და სტატისტიკურ აღრიცხვას ექვემდებარება მცირე საწარმოთა კატეგორია (საშუალო საწარმოსთან ერთად). ამასთან ერთად, საქართველოს კანონით “ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ” საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების გვერდით განსაზღვრულია, რომ მცირე საწარმოს (და არა მცირე ბიზნესის) სტატუსი მიენიჭება “მეწარმეთა შესახებ” კანონით დადგენილ ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს (და არა მხოლოდ იდეიდუალური მეწარმე), რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 000 ლარს, ხოლო, დასაქმებულთა რაოდენობა - 20 კაცს. ამდენად, ეს შეუსაბამოა უნდა გასწორდეს.

მეორეს მხრივ, არსებითია საკითხი, თუ მოცემული სტატუსის ფარგლებში მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერისა და სტიმულირების რა სისტემა ხორციელდება. ამ მიმართულებით, გადასწვევითაა რიგი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხები როგორც საერთოსახელმწიფოებრივ, ისე მიკრო დონეზე.

მცირე მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით აუცილებელია ჩამოყალიბდეს სათანადო ინსტიტუციონალური ბაზა. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ მცირე მეწარმეობის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და განხორციელების გარეშე.

ამჟამად საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ერთიანი სისტემა არ არსებობს. შესაბამავეებელია, როგორც საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტები, ასევე, ჩამოყალიბებულია მხარდაჭერის ორგანიზაციული სისტემა, რაც მოიცავს სპეციალური ორგანოს შექმნას, მის ურთიერთობას სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებულ უნდა იქნას მსმ-ის მხარდაჭერის ფინანსური, საინფორმაციო, საკონსულტაციო-სასწავლო მექანიზმები.

საუბარია ხელშეწყობის შეღავათიანი, სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომლებიც არსებითად არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მსს-ები ვერ უწყვეტ კონკურენციას მსხვილ ფირმებს (მონოპოლიებს) და ამიტომ ეს სფერო რჩება განუვითარებელი.

ჩვენი მიზანია, ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები მსმ-ის ინსტიტუციონალური სისტემის საკანონმდებლო და მეთოდური ბაზის შესაქმნელად.

ბაზრის არასრულყოფილების, საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონის, ბიუროკრატიზმის, მოსახლეობაში არსებული მწირი კერძო დანახოვების პირობებში მცირე საწარმოები ვერ უწყვეტ ჯეროვან კონკურენციას მსხვილ ფირმებს დანახარჯების ობიექტურად განპირობებული მაღალი დონის გამო.

მცირე მეწარმეობის განვითარების ღონით ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს, სადაც მცირე ბიზნესზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) ნახევარზე მეტი. იგი წარმოადგენს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების ძირითად წყაროს.

საქართველოში მცირე საწარმოთა წილად მოდის მშპ-ის მხოლოდ მეოთხედი. სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში ჯერ კიდევ დაბალია მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი. დისპროპორციები არსებობს მცირე მეწარმეობის დარგობრივ და რეგიონულ სტრუქტურებში.

მცირე საწარმოები ვერ ასრულებენ სასურველ ფისკალურ როლს. მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა არ აღემატება ქვეყნის კრებისით მაჩვენებლის 20 პროცენტს. მცირე საწარმოები ჩამორჩებიან კაპიტალაღჭურვილობისა და შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით.

აღნიშნულ პირობებში მცირე მეწარმეობის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და განხორციელების გარეშე.

მცირე მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით აუცილებელია ჩამოყალიბდეს სათანადო ინსტიტუციონალური ბაზა. საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები, მოცემული სფეროს ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მეთოდები და ფორმები. შესაქმნელია სპეციალური სამთავრობო ორგანო, რომელსაც დაეკისრება ქვეყანაში მცირე საწარმოთა მხარდაჭერის საქმიანობათა კოორდინაცია, საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ინსტიტუციონალური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებსა და რეკომენდაციებს:

1. სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობით პოლიტიკური გარემოს შექმნა, რაც მოითხოვს მაკროეკონომიკური პოლიტიკის და მცირე საწარმოთა საქმიანობის რეგულირების რეფორმების გატარებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი

პიროვნებისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

მარეგლამენტირებული კანონებისა და წესების სტაბილურობა, აგრეთვე მექვიდრუბითობა და შეთანხმებულობა მოცემული სფეროს განვითარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა საქმიანობაში.

მცირე საწარმოთა მხარდაჭერის სტრატეგიის რეალიზაცია მოითხოვს ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც განახორციელებს საწარმოთა განვითარებასა და ხელშეწყობის ღონისძიებათა სტიმულირებასა და კოორდინაციას ქვეყნის მასშტაბით. აქ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და კონსულტაციები სამინისტროებსა და უწყებებს შორის, რათა გამოირიცხოს ვიწრო უწყებრივი მიდგომები მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში. უნდა შეიქმნას მოცემული სექტორის განვითარების პოლიტიკასა და გეგმებში მცირე საწარმოების წარმომადგენელთა წინადადებების გათვალისწინების ქმედითი მექანიზმი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარწმუნო სტატისტიკის წარმოებას და კვლევების ჩატარებას მცირე საწარმოთა მხარდაჭერის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით.

2. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიაში მცირე მეწარმეობის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის წამყვანი რგოლის, ადგილის ზუსტი განსაზღვრა.

3. მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ძირითადი მიმართულების და ამ სექტორში სამთავრობო ორგანოების ჩარევის წილის განსაზღვრა. უადრესად მნიშვნელოვანია, დადგინდეს სამთავრობო ჩარევის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დახმარება ძირითადად უნდა წარიმართოს საბაზრო საქმიანობაში არსებული წინაღობების დასაძლევად.

4. უფლებამოსილების მინიჭება სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა თავიანთი მოთხოვნილებების შესაბამისად განახორციელონ მცირე საწარმოებისათვის მხარდაჭერა.

5. მჭიდრო და რეგულარული კონტრაქტების დამყარება მცირე საწარმოებთან მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესწავლისა და დახმარების გაწევის მიზნით. უნდა შეიქმნას ეფექტიანი პარტნიორობის სისტემა მეწარმეთა კავშირებს, სავაჭრო და სამრეწველო ასოციაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, სასწავლო და საკონსულტაციო დაწესებულებებს და სხვა. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის.

6. მცირე ბიზნესის სექტორის მდგომარეობის და მეწარმეობის განვითარების პროგრამების რეგულარული ანალიზი და კონტროლი მათ შესრულებაზე. ეს მოითხოვს სათანადო მექანიზმის შემუშავებას, რისი შემუშავებაც შეგვეძლება განესაზღვროთ, რამდენად ვაღწევთ დასახულ მიზანს.

მცირე მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუციონალური მოწყობა უნდა

დაეფუძნოს შემდეგ ორგანიზაციულ სტრუქტურას: მიზანშეწონილია, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეიქმნას სათათბირო ორგანო — მეწარმეთა საზოგადოებრივი კოლეგია, რომელიც მცირე მეწარმეობაზე პასუხისმგებელ ვიცე-პრემიერთან ერთობლივად შეიმუშავებს წინადადებებს ბიზნეს-სფეროს განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შესახებ.

აუცილებელია მცირე საწარმოთა მხარდაჭერის საქმიანობის მაკოორდინირებელი ორგანოს დაფუძნება, რომელსაც დაეკისრება საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია.

უნდა შემუშავდეს მსს განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ საწარმოთა უზრუნველყოფა საკრედიტო რესურსებით საბანკო სისტემასთან შედარებით ხელსაყრელი პირობებით. ამ პროგრამით უნდა განისაზღვროს არასაბანკო მცირე სესხი. მცირე სესხების მიზანია: ა) სახსრების წარმართვა სახელმწიფო სტრუქტურულ-ინვესტიციური პოლიტიკით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ დარგებსა და სფეროებში; ბ) რეგიონალური განვითარების პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენების, მოსახლეობის დასაქმებისა და სხვა მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. შესაბამისად შემუშავდება მოთხოვნები სესხის პრეტენდენტი საწარმოს მიმართ; სესხის გაცემის პირობები (მს განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ მცირე სესხები გაიცემა ძირითადი ან საბრუნავი კაპიტალის ფორმირებისათვის იმ სამეწარმეო პროექტებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საექსპორტო და იმპორტმცემცვლელი წარმოების სტიმულირებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას რიგ სფეროებში), მცირე სესხის მოცულობა და ვადები, საპროცენტო განაკვეთი, საგარანტიო უზრუნველყოფა და სხვ.

ფინანსური ხელშეწყობის ბანკების წინაშე თავდებობის არსი მდგომარეობის იმაში, რომ მს განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო ბანკების წინაშე თავდებად გამოდის იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საკრედიტო დაწესებულებების მოთხოვნებს სამეწარმეო საქმიანობის რისკის და/ან საგარანტიო უზრუნველყოფის კუთხით. სააგენტოს სახსრები დაიხარჯება იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ შეასრულებს სესხის დაფარვის ვალდებულებებს.

საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება - მისი მიზანია ბანკის კრედიტის საპროცენ-

ტო განაკვეთის ნაწილის კომპენსაციით საბანკო სესხები გაზადოს ხელმისაწვდომი საწარმოებისათვის. საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება განხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამებით განსაზღვრულ პრიორიტეტულ დარგებსა და სფეროებში.

საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება- მოცემულ სფეროში პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მსს-ის მხრიდან კონსულტაციებსა და ინფორმაციაზე მწვავე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რადგან ბიზნესის საწყის ეტაპზე მეწარმეებს მათზე ხელი არ მიუწვდებათ რესურსების შეზღუდულობის გამო.

მცირე და საშუალო მეწარმეობის რეგიონალური განვითარება - ამ სფეროში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს რეგიონების რესურსების მაქსიმალური გამოყენება, საშუალო ადგილების შექმნა და რიგი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტა.

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მცირე და საშუალო მეწარმეობაში ჩართვა - პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებას და აქედან გამომდინარე მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. გადაწყვეტილება სესხის გაცემის თაობაზე მიიღება საკონკურსო წინადადების საფუძველზე, რომლის შემადგენლობაში მოწვეული იქნებიან დაინტერესებული სამთავრობო და არა-სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროგრამას თან უნდა დაერთოს დანართი - საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები.

მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ სპეციალური კანონის მიღებით უნდა დარეგულირდეს და განისაზღვროს: პირველ რიგში, მოცემული სფეროს სუბიექტების სტატუსი (საქართველოს საგადასახადო კოდექსი სცნობს მიკრო და მცირე ბიზნესს, მაშინ, როდესაც საქართველოს კანონით ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ დადგენილია მცირე და საშუალო საწარმოს სტატუსი); მეორე, დაზუსტდეს საწარმოთა კრიტერიუმები ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარამონიზირების კუთხით; მესამე, მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები, მოცემული სფეროს ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მეთოდები და ფორმები. ყურადღება უნდა გამახვილდეს ფინანსური ხელშეწყობის შემდეგ ფორმებზე: პირდაპირი დაკრედიტება კომერციული ბანკების მეშვეობით; გარანტირებული კრედიტები, ანუ საბანკო კრედიტის გარანტირებული დაზღვევა; გრანტების გამოყოფა განსაზღვრულ პროექტებზე (სუბვენცია); საბანკო პროცენტის სუბსიდირება

(დროებითი ან მუდმივი); წილობრივი მონაწილეობა საინვესტიციო პროგრამებში; ექსპორტის დაზღვევა და სხვა.

Legislative Regulation of SMALL Business State Support

Maghradze Manana
Gobedgishvili Ekaterine

The development of small business in Georgia is impossible without creation and realization of a system of state support measures.

The article deals with the support of state to small business. It is necessary to create a unified system of state support to small and medium business. In the article recommendations for creation of small business institutional systems and their legislative basis are analysed. This should be put into life.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტის ბიზნეს-ინკუბატორის შექმნის შესახებ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი. 1997.
2. სამოქალაქო ასოციაცია “საზოგადოებრივი ინიციატივა”. ბიზნეს-ინკუბატორის შექმნის შესაძლებლობის გამოკვლევა. თბილისი 2001.
3. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია. ლიზინგის პოტენციური ბაზარი საქართველოში, მარტი, 2004.
4. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია 2009 წელი.
5. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 2012.
6. www.parliament.ge
7. www.geostat.ge
8. <http://rf-biz.ru/>